

შპს “ენენ ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგება

2020 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს. „ენენ ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 08.10.2006წ. ს.ნ 205177556

კომპანიის დამფუძნებელი:

კახა ლიბრაძე პ.ნ. 01002016416 – 50 % წილის მმართველი;

ვასილ გუნიავა პ.ნ. 01009012910 – 50 % წილის მმართველი;

კომპანიის დირექტორი გიორგი მანჯაფარაშვილი პ.ნ. 01009003439

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ბურძგლას (ყოფ. შმიდტის)

ქუჩა, N. 18, ბინა N.2-ა

ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის ქუჩა N. 75-ა.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 7600 (შვიდიათას ექვსასი) ლარს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები, ასევე არ გააჩნია ფილიალები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 კომპანიის მიერ, 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

2.2 კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული

ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშება.

2.3 კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2018 წლის პირველი იანვრიდან.

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

2.5 კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

2.6 მოგების გადასახადი. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

2.7 კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულების მოდელით.

2.8 დივიდენდები გაცემულია 554741 ლარის ოდენობით.

2.9 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულებების მოდელს. ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით.

2.10 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით:

- ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.

2.11 საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს, საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

2.12 სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

2.13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

2.14 სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადანაგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

2.15 საწარმოს ბანკის სესხები არ გაააჩნია

2.16 ვადაგადაცილებული დავალიანება კომპანიას არ ერიცხება.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 25 სექტემბერს.

შ.პ.ს. „ენენ ჯგუფის“

დირექტორი

გიორგი მანჯაფარაშვილი



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

31/12/2020 31/12/2019 31/12/2018

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	648921	220117	445140
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	387373	0	355320
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	264435	316721	357660
მარაგები	3930632	4871699	5203226
მზა პროდუქცია	3928868	2950218	3995143
სხვა	1764	1921481	1208083
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	303062	163078	98045
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	5534423	5571615	6459391

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	2358512	2591416	3813500
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	133	125739
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	2358512	2591549	3939239

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	7600	41000	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2999346	2860835	2435429
გადაფასების რეზერვი	168965	78231	84723
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	3175911	2980066	2520152
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5534423	5571615	6459391
სულ მოკლევადიანი აქტივები	5231361	5408537	6361346
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2358512	2591549	3939239

შპს "ენენ ჯგუფის" დირექტორი:

გ. მანჯაფარაშვილი

გ. მანჯაფარაშვილი

მთ. ბუღალტერი:

6. სვანიძე

6. სვანიძე



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

31/12/2020 31/12/2019

ნეტო ამონაგები	7699797	6161875
საქონლის გაყიდვიდან	3045878	2945376
მომსახურების გაწევიდან	26430	3216499
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	4593603	0
სხვა	33886	0
გაყიდვების თვითღირებულება	-6546711	-5257580
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1153086	904295
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	209953
დასაქმებულთა ანაზღაურება	-143327	-187578
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	-32841	-20411
საპროცენტო შემოსავალი	14107	19628
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-71022	-530486
სულ საოპერაციო ხარჯები	-233083	-508894
საოპერაციო მოგება	920003	395401

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-145968	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	31045	187577
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	805080	582978
მოგების გადასახადის ხარჯი	-96081	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	708999	582978

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
---	---	---

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	708999	582978
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2980066	2520152
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	41000
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-554741	-157781
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	41587	-6283
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3175911	2980066

შპს "ენენ ჯგუფის" დირექტორი:

გ. მანჯაფარაშვილი

გ. მანჯაფარაშვილი

მთ. ბუღალტერი:

ნ. სვანიძე

ნ. სვანიძე



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

31/12/2020 31/12/2019

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	574772	-244553
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	574772	-244553
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-145968	19530
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	220117	445140
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	648921	220117

შპს "ენენ ჯგუფის" დირექტორი:



გ.მანჯაფარაშვილი

მთ.ბუღალტერი:

ნ.სვანიძე